

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“

საქართველოს კანონში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“

საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულ იქნა 2010 წლის 23 თებერვალს, რომელიც უნდა ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან. თუმცა, დასახელებული კანონის გარკვეული დებულებები, თავისი შინაარსიდან გამომდინარე მოითხოვს დაზუსტებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია დაზუსტდეს იმ დებულებების შინაარსი, რომელიც გარკვეულწილად ბუნდოვანია და რომელმაც მომავალში შესაძლებელია გარკვეული გაუგებრობები გამოიწვიოს.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით ხდება რამდენიმე ცვლილების განხორციელება:

1. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2009 წლის 25 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად კოდექსის 88-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და ეს რედაქცია უნდა ამოქმედდეს ასევე 2010 წლის 1 აპრილიდან, სამართლებრივ დატვირთვას მოკლებულია კოდექსის 88-ე მუხლში რაიმე ცვლილების განხორციელება იმ კანონით რომელიც მიღებულია 2010 წლის 23 თებერვალს. შესაბამისად, კანონპროექტიდან ხდება იმ ნაწილის ამოღება (კერძოდ პირველი მუხლის მე-11 ნაწილის), რომლითაც

ცვლილება შედიოდა კოდექსის 88-ე მუხლში (მით უმეტეს, რომ მასში შეფდიოდა მხოლოდ ტერმინოლოგიური ცვლილება, შემოსავლების სამსახურის დასახელების კუთხით).

2. 2010 წლის 23 თებერვალს მიღებული კანონით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 108-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, თუმცა, იქიდან გამომდინარე რომ ამავე კანონით საგადასახადო ორგანოს ცნება ჩამოყალიბებულია ახლებურად, მიზანშეწონია 108-ე მუხლის მე-3 ნაწილში ტერმინი „რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ორგანოს)“ ამოღებული იქნას და მის ნაცვლად ჩაიწეროს ტერმინი „საგადასახადო ორგანო“ ზოგადად, რათა არ მოხდეს საგადასახადო ორგანოს გაიგივება მხოლოდ რეგიონალურ ცენტრთან ან არ გამოიწვიოს სხვა გარკვეული გაუგებრობები.

გარდა აღნიშნულისა, იურიდიული ტექნიკი თვალსაზრისით, წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს მის ამოქმედებას 2010 წლის 31 მარტიდან, გამომდინარე იქიდან, რომ ძირითადი კანონი ამოქმედდება 2010 წლის 1 აპრილიდან.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებისათვის ფისკალურად ნეიტრალურია.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშვება სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ ზეგავლენას პირებზე, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორია:

პარლამენტის წევრი მიხეილ ცქიტიშვილი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორია:

პარლამენტის წევრი მიხეილ ცქიტიშვილი